Direct Debit Georgia

# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **უჟანგავი მეტალის დეტალის დამჭერის** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | რაოდენობა |
|---|---|
| **უჟანგავი მეტალის დეტალი** | 4000 |
| **მეტალის დეკორატიული მოქლონი** | 1500 |

***მახასიათებლები***

- გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა სატესტო პროდუქტის მოწოდება.
- ნასყიდობის საგნის მოწოდების ვადაა - 2025 წლის თებერვალი
  1. **უჟანგავი მეტალის დეტალი -** ზომა, მასალა - დანართი N 4 (მოთხოვნილი პროდუქტის ფოტო)
     - მრგვალი ფირფიტა უჟანგავი მეტალით დიამეტრი 4 სმ, მეტალის სისქე 2 მმ.
     - ღერო ხრახნით უჟანგავი მეტალით სიგრძე 4 სმ, ხრახნის ზომა 6 მმ.
     - ხრახნი დადუღებული უნდა იყოს მრგვალ ფირფიტაზე ცენტრში.
  2. **მეტალის დეკორატიული მოქლონი**

| **დასახელება** | მეტალის დეკორატიული მოქლონი |
|---|---|
| **ღერძის სიგრძე** | 30მმ |
| **ღერძის დიამეტრი** | 10მმ |
| **თავაკის დიამეტრი** | 20მმ |

***მოწოდების პირობები***

მოწოდების ვადა - 2025 წლის თებერვალში

მოწოდების მისამართი - ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. # 2-4-6-8-10

***ანაზღაურება***

მოწოდებიდან 5 დღის ვადაში.

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 06/11/2024 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**